ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ანა ლორია

კოლეგიის წევრი - ბესიკ ქარცივაძე

კოლეგიის წევრი - ნათია ჩიტაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 27.03.23

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 003/23

I. შეკითხვა

მოსამართლემ, ადმინისტრაციული სარჩელის საქმის განხილვისას გამოტოვა (არ ჩაატარა) ორი მნიშვნელოვანი ეტაპი: კითხვების დასმის ეტაპი და მტკიცებულებათა კვლევის ეტაპი, ხოლო გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა, ხოლო ზემდგომმა ინსტანციამ ამ საპროცესო დარღვევების გამო გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა. ზემდგომმა ინსტანციამ გადაწყვეტილებაში ახსენა, რომ მხარეს შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება. დაბრუნებული საქმე დაეწერა სხვა მოსამართლეს, რომელმაც ასევე, დროში შეზღუდა მოსარჩელე მხარე, მეორე მხარესთან კითხვების დასმის დროს, საქმის სირთულესთან შეუსაბამოდ, ხოლო რაც შეეხება მტკიცებულებათა კვლევის ეტაპს, მანაც სრულად გამოტოვა ეს ეტაპი და განაცხადა, რომ სასამართლომ ჩათვალა მტკიცებულებები გამოკვლეულად (მხარის მოთხოვნის მიუხედავად რომ მტკიცებულებები გამოეკვლიათ). მოსარჩელე მხარემ მაშინვე დაჟინებით მოითხოვა ამ ეტაპის ჩატარება, ხოლო სასამართლოს მიერ უარის გაცხადების შემდეგ, მოითხოვა შუამდგომლობის დაყენება. ადვოკატმა შუამდგომლობის დაყენებისას განაცხადა, რომ „არასწორია“ მოსამართლის გადაწყვეტილება მხარის შეზღუდვების შესახებ. სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელე იმავდროულად არის ადვოკატი. მოსამართლის მიერ ადვოკატი ზემოთხსენებულის გამო

გაძევებული იქნა სასამართლო დარბაზიდან. მოსამართლის მიერ პროცესის ნაწილის შეზღუდვის თაობაზე მიღებული არ ყოფილა რაიმე სახის განჩინება და ეს მხოლოდ მოსამართლის ზეპირსიტყვიერ განცხადებაში აისახა.

- არღვევს თუ არა ადვოკატი თავისი ქცევით პროფესიულ ეთიკას ?
- ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“, - გულისხმობს, თუ არა აღნიშნული ნორმა, მოსამართლის ზეპირსიტყვიერად გაცხადებულ ქცევის წესს, მაშინ როდესაც ის თავად არღვევს საპროცესო ნორმების დანაწესს, თუ გულისხმობს კანონით დადგენილ ქცევის წესს?
- თუ მოსამართლე დაარღვევს კანონს, მაინც არის ვალდებული ადვოკატი პატივი სცეს დარღვეულ უფლებას და დაიცვას ის? კერძოდ, მოსამართლის მიერ კანონის დარღვევისას მაშინ როდესაც სასამართლო არ ჩაატარებს, გამოტოვებს, პროცესის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, მაინც ერთმევა ადვოკატს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლების რეალიზაციის დაჟინებით მოთხოვნის უფლება და ვალდებულია ის უსიტყვოდ დაემორჩილოს დარღვევას?

მიმდინარე სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე მხარე კითხვებს უსვამდა საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირს (მესამე პირი), რომელიც მოწმის სახით იკითხებოდა, დაინტერესებულ პირს მისი ადვოკატი კარნახობდა კითხვებზე პასუხს, რაზეც მოსარჩელე ადვოკატებმა მოსამართლის წინაშე ორჯერ მოითხოვეს სათანადო რეაგირების განხორციელება. მოსამართლის მხრიდან რეაგირება არ განხორციელდა, რითიც ხელი შეეშალა დაკითხვის წარმოებას. სასამართლომ მოსარჩელის ეს მოთხოვნები მიიჩნია მითითებად მოსამართლის მიმართ, თუ როგორ დაეცვა წესრიგი.

- სახეზეა თუ არა მოსარჩელე ადვოკატების მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევა?

II. ანალიზი

ეთიკის კომისიის შეფასებით, შეკითხვაში წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით, არ ვლინდება ადვოკატის მხრიდან სასამართლოში მოქმედი ქცევის წესის დარღვევისა და თავად სასამართლოს და/ან პროცესის მონაწილე პირთა უფლებების შელახვის ფაქტი.

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა ადვოკატის სასამართლოსთან ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით.

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ).

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 9.1).

აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება გარანტირებულია, საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა მათთან მიმართებით,

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლების მოქმედების ფარგლები, გარდა ზოგადი წესით არსებული შეზღუდვისა, ფორმირდება პროფესიული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებითაც. კერძოდ, გარდა იმისა, რომ აღნიშნული ძირითადი უფლება, ზოგადი წესის თანახმად იზღუდება, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსებისა და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად, ადვოკატის შემთხვევაში, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, გამოხატვის თავისუფლების უფლების მოქმედება, ზოგადი წესის პარალელურად, განიხილება ადვოკატის პროფესიული რეპუტაციის, საერთო კორპორაციული ინტერესებისა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ადვოკატის, როგორც უფლებადამცველის „იმუნიტეტის" გათვალისწინებითაც.

ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.4).

ადვოკატი, რომელიც იმყოფება ან მონაწილეობს საქმეში სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე რომელიმე წევრ სახელმწიფოში ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედი ქცევის წესები (ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 4.1).

სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად (ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 4.3).

„ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების" გათვალისწინებით, რომელსაც მათი პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება" მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 29.10.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №076/10).

„გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია, ეს უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პირობას დემოკრატიის პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. გამოხატვის თავისუფლება გამოიყენება არა მხოლოდ „ინფორმაციაზე" ან „იდეებზე", რომლებიც დადებითად მიიღება ან განიხილება, არამედ ისეთებზეც, რომლებიც შოკის მომგვრელი, შეურაცხმყოფელი და შემაწუხებელია; ასეთია იმ პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და გონიერების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს 'დემოკრატიული საზოგადოება'" (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 27.08.2003 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე *Skalka V. Poland*, განაცხადი №43425/98, 32).

„გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება

დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10.11.2009 წლის გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №31/3/421,422).

მოცემულ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ რამდენად იქნება დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ ადვოკატი გამოთქვამს პრეტენზიას მოსამართლის მიერ, სამართალწარმოების ქცევის წესის დარღვევასთან დაკავშირებით და რამდენად არის ადვოკატი ვალდებული დაემორჩილოს მოსამართლის მოთხოვნას, რომელიც, მისი აზრით, წინააღმდეგობაში მოდის კანონთან.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ, სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი არ ავალდებულებს ადვოკატს უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის თითოეულ (განსაკუთრებით, მისი შეფასებით, უკანონო) მითითებას. ადვოკატის შეფასებით, თუ მოსამართლე არღვევს კანონს, ადვოკატს, არა მხოლოდ უფლება, არამედ, ვალდებულებაც აქვს კლიენტის, საზოგადოების, მართლმსაჯულების სისტემისა და პროფესიის წინაშე, რომ აღნიშნულის თაობაზე განაცხადოს, რათა უზრუნველყოს პროცესის თანასწორად, კანონიერად და სამართლიანად წარმართვა. მართალია, ადვოკატმა, თავისი ქცევით, ხელი არ უნდა შეუშალოს პროცესის მიმდინარეობას. თუმცა, ამის პარალელურად, ის ვალდებულია, კანონისა და ეთიკის ნორმების ფარგლებში, გამოთქვას პროტესტი და მოითხოვოს თითოეული ქმედების ასახვა სხდომის ოქმში, რათა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს დარღვეული უფლების რესტიტუცია.

მოცემულ შემთხვევაში, არ ჩანს რომ ადვოკატის ძირითადი მიზანი საქმის განმხილველი მოსამართლის ან საქმეში მონაწილე რომელიმე პირის დისკრედიტაცია იყო. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ შესაძლო ხარვეზზე აქცენტის გაკეთებას და კლიენტის ინტერესების დაცვას. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, არსებულ ვითარებაში ადვოკატის მიერ საკუთარი პოზიციის მკაცრი ფორმით დაფიქსირება, რომლითაც ის მიუთითებს, რომ „არასწორია მოსამართლის გადაწყვეტილება“ და მოსამართლისთვის მოთხოვნის დაყენება, უზრუნველყოს სათანადო წესით სასამართლო სხდომის მიმდინარეობა, არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოსთან ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების დარღვევად.

კითხვაში აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატს, როგორც სამოქალაქო უფლებების, ასევე ადვოკატის „იმუნიტეტის“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.4) გათვალისწინებით, უფლება ჰქონდა გაეკრიტიკებინა მოსამართლე ისე, რომ არ გასცდენოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს. ადვოკატს, ჰქონდა უფლება, თუნდაც მოსამართლისთვის სუბიექტურად მიუღებელი, მკაცრი ფორმით გამოეთქვა თავისი მოსაზრება, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე; ამასთან, მიეთითებინა მოსამართლისთვის შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის შესახებ და მოეთხოვა კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვა. თავის მხრივ, ადვოკატის უფლებების პარალელურად, თავად მოსამართლეს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს, გააჩნია თმენის ვალდებულება, მიუხედავად გამოთქმული კრიტიკის სიმკაცრისა, უპირველესად თავად სასამართლოში დაეცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველეყო, დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის

სასიცოცხლო მნიშვენლობის მქონე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების მხარეთათვის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა.

შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ მოსამართლის გაკრიტიკება, სრულად ექცევა გამოხატვის თავისუფლების უფლებით დადგენილი დასაშვები კრიტიკის ფარგლებში, არ არღვევს სასამართლოში ქცევის წესსა და ეთიკურ ვალდებულებებს, რადგან აზრის გამოხატვის მიზანი იყო პროცესის სამართლიანად და კანონიერად წარმართვა; პროცესის მიმდინარეობის თაობაზე ადვოკატის მიერ გამოთქმული კრიტიკა მიზნად არ ისახავდა მოსამართლის შეურაცხყოფას და ის არ იყო უხამსი ფორმულირებით გამოთქმული აზრი.

III. დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი გამოთქვამს თავის პოზიციას პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ „არასწორია მოსამართლის გადაწყვეტილება მხარის შეზღუდვების შესახებ“ და მოსთხოვს მოსამართლეს სასამართლო სხდომის პროცედურისა და წესების დარღვევაზე შესაბამის რეაგირებას, ადვოკატი არ დაარღვევს სასამართლოსთან ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1).

ამასთან ეთიკის კომისია განმარტავს, რომ, სასამართლოსთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი არ ავალდებულებს ადვოკატს უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის თითოეულ მითითებებს. მისი როლიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია, რომ დააფიქსიროს მისი აზრი პროცესის მიმდინარეობისას გამოვლენილ ნებისმიერ ხარვეზსა თუ დარღვევაზე. ადვოკატის შეფასებით, თუ მოსამართლე არღვევს კანონს, ადვოკატს, არა მხოლოდ უფლება, არამედ, ვალდებულებაც აქვს კლიენტის, საზოგადოების, მართლმსაჯულების სისტემისა და პროფესიის წინაშე, რომ აღნიშნულის თაობაზე განაცხადოს, რათა უზრუნველყოს პროცესის თანასწორად, კანონიერად, სამართლიანად წარმართვა და სამომავლოდ, დარღვეული უფლებების რესტიტუცია.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/